ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №514072

ნომერი: AR1102262

თარიღი : 10.01.2013

გაცემის თარიღი : 30.01.2013

გაცნობის თარიღი : 01.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , N 58 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გულსუნდა ბეგოიძე პ/ნ 01034002883
- თბილისი მნათობის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №488805 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 10 იანვარს #არ1102262 განცხადებით მომართა მოქ. გულსუნდა ბეგოიძემ და მოითხოვა 27.12.2012წ. #488805 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: გულსუნდა ბეგოიძის ნაცვლად დამკვეთად შპს „ სიყვარული და კოქტეილი“–ს დაფიქსირება.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად შეისწავლა საკითხი და დაადგინა რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსხურის 2009 წლის 04 დეკემბრის №6/1872 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა გაცემული იქნა მოქ. გულსუნდა ბეგოიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნკავეთზე (ნაკვ. №015/005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (სანებართვო მოწმობა #6/18720–1). მოგვიანებით სამსახურის 2011 წლის 28 მარტის #1084 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ინდივიდუალრ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დამკვეთად დაფიქსირდა შპს „სიყვარული და კოქტელი“, რომლის ერთ–ერთ პარტნიორსა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა მოქ. გულსუნდა ბეგოიძე. ზემოაღნიშნული მშენებლობის ნებართის ვადის გაგრძელების მოთხოვნით 2012 წლის 24 დეკემბერს # AR1100103 განაცხადის რეგისტრაციის დროს განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა შევსებული დამკვეთის ინფორმაციის შემცველი გრაფა და მასში შპს „სიყვარული და კოქტეილი“–ს ნაცვლად დაფიქსირდა მოქ. გულსუნდა ბეგოიძე, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, დღეის მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმაოდგენს შპს „სიყვარული და კოქტეილი“ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №488805 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „სიყვარული და კოქტეილი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №488805 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „სიყვარული და კოქტეილი“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ _ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №488805 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge